



საქართველოს  
სახალხო დამცველი

# ქმილუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე

კვლევის აზრის აღნიშვნი

2016 წელი



[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)



პროექტი დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ



საქართველოს  
სახალხო დამცველი

ამ გამოცემის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს  
ევროკავშირის შეხედულებებს.

## ნინასიტყვაობა

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აღიარებული იყოს სამართლის სუბიექტად, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის მიერ უფლებების ფლობას, არამედ შესაძლებლობას – განახორციელოს ეს უფლებები. დაუშვებელია ადამიანის სამართლებრივად ქმედუნაროდ მიჩნევა იმ მიზეზის გამო, რომ იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. თუმცა, ამავე დროს, პირს შესაძლოა ესაჭიროებოდეს მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასეთ შემთხვევაში, მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური და ქმედითი მექანიზმები.

საქართველოში ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანების მიმართ დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა პლენარული მეურვეობა, რაც გულისხმობდა პირისათვის ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევის შემდეგ, მისი ყველა უფლებით სარგებლობის მეურვის კომპეტენციაში გადასვლას. კანონის ძალით უფლებამოსილი მეურვე სამეურვეო პირის ნაცვლად იღებდა გადაწყვეტილებას. ის არ იყო ვალდებული, დაესაბუთებინა, რომალნიშნულიგადაწყვეტილებაემსახურებოდა სამეურვეო პირის ჭეშმარიტ ინტერესს და შეესაბამებოდა მის სურვილებს. ქმედუნაროდ ცნობა, ფაქტობრივად, პირის „სამოქალაქო სიკვდილს“ ნიშნავდა. 2015 წლს ასეთი 3 500-ზე მეტი მოქალაქე ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში.

მისასალმებელია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო ქმედუნარიანობის იმ დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები და ძალაში შევიდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენცია, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს პლენარული მეურვეობის საპირისპირო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვას. თუმცა, პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კანონმდებლობის აღსარულების და შესაბამისად, მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვის პროცესი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ რეფორმა რეალურად

ეფექტიანად არ განხორციელდა და უკეთესობისკენ ვერ შეცვალა  
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ცხოვრება.

წინამდებარე ანგარიში საქართველოში ქმედუნარიანობის  
ინსტიტუტის რეფორმის მიმდინარეობის შეფასების მიზნით,  
სახალხოდამცველისმიერგანხორციელებულიკვლევისშედეგებს  
წარმოადგენს. იმედს ვიტოვებთ, რომ დოკუმენტში მითითებული  
ხარვეზები და მათი მოგვარების მიზნით შემუშავებული  
რეკომენდაციები შესაბამის სახელმწიფო უწყებებს დაეხმარება  
არსებული საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწასა და  
ეფექტიან აღსრულებაში.

**უჩა ნანუაშვილი**

**საქართველოს სახალხო დამცველი**

<b>შთავალი</b> .....	7
<b>1. ქვევის მთოლელობის</b> .....	9
<b>2. ქვევის მიზანი და საზღვრები</b> .....	11
<b>3. ძირითადი მიზნები</b> .....	12
<b>4. ქვევის ანგარიში</b> .....	14
4.1. საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონცენტრის სტადიარტი და საკანონმდებლო წარჩო რეფორმის შემდეგ .....	14
4.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ქალაპი შესვლა .....	16
4.2.1. სასამართლოს სტადიარტი .....	16
4.2.2. ცვლილებები კანონმდებლობაში .....	16
4.3. ტერმინოლოგია .....	17
4.4. პირთა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის ზოგადი სტატისტიკა .....	17
4.5. საერთო სასამართლოების მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთება .....	20
4.6. სამოქალაქო ნაციონალური არარსებობა .....	21
4.7. დასაბუთებული სასამართლოს გადაწყვეტილებების შპპლონერობა .....	23
4.8. ქმედულის მიზანის დაზღუდვის ფარგლები .....	24
4.8.1. საკონსტიტუციო სასამართლოს ხელვა .....	24
4.8.2. საკანონმდებლო რეფორმა .....	25
4.8.2.1. მხარდაჭერის ინსტიტუტი .....	25
4.8.3. მხარდაჭერის ვალდებულებები .....	28
4.8.4. საერთო სასამართლოების პრაქტიკა .....	29
4.8.4.1. ბლანკეტურობა და უფლებების სრული სპეციფიკის შაზღუდვა .....	30
4.8.4.2. ნების ჩანაცვლება .....	36
4.8.4.3. მხარდაჭერის ფანჯრის ზოგიერთი უფლების რეალიზაციის დროს .....	37
4.9. რას უდებებისა და საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება .....	38
4.9.1. კანონმდებლობა .....	38

4.9.2. სასამართლოს პრაქტიკა .....	39
4.10. ქორწინების უფლება .....	41
4.10.1. საკონსისტიციულო სასამართლოს სტანდარტი .....	41
4.10.2. ქანონმდებლობა .....	42
4.11. სალკავლი უფლებაზე .....	43
4.11.1. საკონსისტიციულო სასამართლოს გადაწყვეტილება .....	43
4.11.2. ქანონმდებლობა .....	43
4.11.2.1. მშობლის უფლება .....	43
4.11.2.2. თანამდებობის დაკავების უფლება .....	44
4.11.2.3. სამიღისმო კვლევის ობიექტი .....	45
4.12. სასამართლო პროცესი მონაცილეობის, მხარდაჭერის გაფასინჯვის, გაუძლებისა და გასაჩივრების უფლება .....	46
4.12.1. სასამართლო სტანდარტი .....	46
4.12.2. ქანონმდებლობა .....	46
5. საპროცესო ვალები .....	48
რეკომენდაციები .....	48

## შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა 2009 წლის 10 ივლისს ხელი მოაწერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა (შემდგომში: კონვენცია) და მის ფაკულტატურ ოქმს. პირველის რატიფიცირება პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა, მეორეს კი ქვეყანა დღემდე არ მიერთებია. დოკუმენტი საქართველოსთვის სავალდებულო ძალის მქონე 2014 წლის აპრილიდან არის.

აღსანიშნავია, საქართველომ დეკლარაცია გააკეთა დოკუმენტის მე-12 მუხლზე, რომელიც სწორედ ქმედუნარიანობის საკითხებს შეეხება.<sup>1</sup> დეკლარაციის მიხედვით, აღნიშნული მუხლით რეგულირებული საკითხების განმარტებას საქართველო ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გააკეთებს. აღნიშნული დეკლარაცია თავისი შინაარსით დატქმას არუთანაბრდებადა არ ზღუდავს სამართალსუბიექტობის უფლებას.

ამ საერთაშორისო ხელშეკრულების 33-ე მუხლით გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულება, დაასახელოს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი მექანიზმი კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგისთვის. 2014 წლის 27 ოქტომბერს, პრემიერ-მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს N6 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნულ მექანიზმად საქართველოს სახალხო დამცველი დასახელდა. კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსა და მონიტორინგის ჯგუფს. წინამდებარე კვლევა მათი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია.

კვლევა მიმოიხილავს ქმედუნარიანობის რეფორმას საქართველოში, რომელიც დარეგულირებულია კონვეციის მე-12 მუხლით და რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით, კანონმდებლობის ნაწილი, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე

1 საქართველოს პარლამენტის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით რატიფიცირების შესახებ.

პირების ქმედუნარიანობას შეეხებოდა, გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე გაუქმდა, მეორე ნაწილში ცვლილებების შესატანად კი სასამართლომ პარლამენტს 6-თვიანი ვადა მისცა. პარლამენტმა ვადის გასვლამდე 10 დღით ადრე, 2015 წლის 20 მარტს დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ახლებურად არეგულირებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებებს.

## 1. კვლევის მთოლობრივი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ადამიანის უფლებების მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტს, რომელსაც საფუძვლად დაედო სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული კვლევა. ანგარიშის წერისას გამოყენებულია მეთოდოლოგია, რომელიც ადამიანის უფლებების დოკუმენტირებასთან დაკავშირებული გამოწვევების ადეკვატურია.

მონიტორინგის პროცესში სახალხო დამცველმა გააანალიზა:

- საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარები
- საქართველოს ნორმატიული ბაზა
- ქმედუნარიანობის შესახებ წინამდებარე ანგარიშის გამოქვეყნებამდე არსებული ანგარიშები
- ინფორმაცია, რომელიც გამოითხოვა მონიტორინგის სუბიექტებიდან ან/და მათ შესახებ
- სფეროში მოღვაწე ინსტიტუტების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული შეხვედრების შედეგები

მონიტორინგის პერიოდად განისაზღვრა 2015 წლის პირველი აპრილიდან 2016 წლის პირველ თებერვლამდე პერიოდი.

სახალხო დამცველის მიერ ქმედუნარიანობის რეფორმის შეფასების სტანდარტად გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარებით დადგენილი სტანდარტები
- საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტები
- სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც საქართველოში არეგულირებენ სამართალსუბიექტობის საკითხებს.

კვლევის ობიექტად განისაზღვრა შემდეგი:

- კონვენცია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

სახალხო დამცველმა შეისწავლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ისევე როგორც კონვენციით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ დადგენილი ადამიანის უფლებების სტანდარტები. წინამდებარე კვლევა საქართველოს კანონმდებლობისა და მისი აღსრულების შეფასებისთვის სწორედ ამ ორ წყაროს იყენებს.

- ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 20 მარტს დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც განსაზღვრავდა ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმას. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მის საფუძველზე რამდენიმე კანონქვემდებარე აქტი დაამტკიცა. ცვლილებების შედეგად დაფუძნდა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც პირისთვის მხარდამჭერის ინდივიდუალური შეფასებით განსაზღვრული საჭიროებების მიხედვით დანიშვნას გულისხმობს. ნორმატიული რეალობის ცვლილების აღსრულების ტენდენციების ანალიზი ამ კვლევის ერთ-ერთი მიზანია.

- საერთო სასამართლოების პრაქტიკა

პირს მხარდაჭერის მიმღებად ცნობს და მხარდაჭერის ფარგლებს უდგენს საერთო სასამართლო. სახალხო დამცველმა 2015 წლის პირველი პარილიდან 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით, საერთო სასამართლოების სისტემის ყველა სასამართლოდან გამოითხოვა აქტი, რომელიც შეეხებოდა პირთა ფსიქოსოციალური საჭიროებების განსაზღვრას და ამ საფუძვლით მხარდამჭერის დანიშვნას. ამ დროის განმავლობაში საერთო სასამართლოებმა პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებით 341 გადაწყვეტილება მიიღეს. სახალხო დამცველის მიერ თითოეული გადაწყვეტილების დეტალურად შესწავლის საფუძველზე მომზადებული წინამდებარე კვლევა მთელ რიგ პრობლემებს წარმოაჩინს. ეს პრობლემები ერთი მხრივ დაკავშირებულია კანონმდებლობის ხარვეზებთან, ხოლო მეორე მხრივ, მის აღსრულებასთან.

## 2. კვლევის მიზანი და საზღვრები

წინამდებარე ანგარიშის მიზანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის იმ ნაწილის შეფასება, რომელიც შექება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას და მის ფარგლებს. ისეთი საკითხები, როგორიცაა ადმინისტრირება, რეფორმის რესურსებით უზრუნველყოფა, მხარდაჭერის მონიტორინგი და აღსრულება, ანგარიშში განხილული არ არის.

ანგარიშში არ არის გაანალიზებული საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ გამოყენებული ენის კორექტულობის საკითხი. თუმცა, იმავდროულად, ზედაპირული შეფასებითაც ნათლად ჩანს, რომ, როგორც საკონსტიტუციო, ისე საერთო სასამართლოები ვერ აკმაყოფილებენ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც მათ მიერ გამოყენებული ტერმინები და კონოტაციები არ უნდა ამყარებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებულ სტიგმას.

მიუხედავად იმისა, რომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესში უმნიშვნელოვანესია ექსპერტიზის როლი, კანონმდებლობის მიხედვით კი, პირის საჭიროება სისპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზით დგინდება, სახალხო დამცველი ამ შემთხვევაში აქცენტს არ აკეთებს ექსპერტიზის ბიუროს საქმიანობაზე, რადგან ის მეტნილად არასამართლებრივ საკითხებს მოიცავს, განსხვავებით წინამდებარე კვლევისგან.

საკანონმდებლო ნორმის გამოყენების პრაქტიკა ხშირად არ ემთხვევა სამართალშემოქმედის განზრახვას. ნორმებს საკუთარი სოციალური ცხოვრება აქვთ და ის დინამიზმით ხასიათდება. ერთისა და იმავე ნორმის საფუძველზე სხვადასხვა დროს შესაძლოა სხვადასხვა გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. ამდენად, განსახილველ საკითხებთან მიმართებით, მოქმედი კანონმდებლობის უცვლელობის პირობებშიც კი, სახალხო დამცველი, მომავალში ახალი ან განსხვავებული მიგნებებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გამოცემის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

### 3. ძირითადი მიზნებები

- რეფორმის შემდგომი საკანონმდებლო რეალობა მეტწილად ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მცირე გამონაკლისების გარდა შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონვენციის მოთხოვნებს
- საკანონმდებლო რეფორმა ვერ მოექცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში და მისი სრულფასოვნად ამოქმედება 6-თვიან ვადას 2 თვით გადასცდა
- ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე ბრძანება, პირს, ვისი ფსიქოსოციალური საჭიროების ექსპერტიზაც ტარდება, უკვე მოიხსენიებს „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად“, მაშინ როდესაც ექსპერტიზამ შესაძლოა პირი საერთოდ არ ცნოს ასეთად. ექსპერტიზის მიერ დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, სასამართლო პირს თითქმის ყოველთვის ცნობს მხარდაჭერის მიმღებად, თუმცა მხარდაჭერის მიღების ფარგლების შესახებ ბიუროს რეკომენდაციას ავტომატურად არ ითვალისწინებს
- პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილებების დიდ უმრავლესობას საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გააჩნია, რაც შეუძლებელს ხდის მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროების გარკვევას. ამას გარდა, სასამართლოების ნაწილი თავად მხარდაჭერის მიმღებ პირს არ განიხილავს მხარედ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას ისე აქვეყნებს, რომ მის დამოკიდებულებას აღნიშნულისადმი არ იკვლევს
- საერთო სასამართლოების ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სამოტივაციო ნაწილს შეიცავს, შაბლონური და დაუსაბუთებელია
- კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, პირდაპირ არის გათვალისწინებული საერთო სასამართლოს შესაძლებლობა – მხარდაჭერა დანიშნოს წვრილმანი გარიგებების დადების ნაწილში
- კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღები პირის უფლების - იყოს სხვა პირის მხარდამჭერი იმ სფეროში, რომელშიც თავად არ აქვს მხარდაჭერა დანიშნული, ბლანკეტურ შეზღუდვას
- მაშინაც კი, როდესაც პირს სამედიცინო მომსახურებაში მხარდაჭერა არ აქვს დანიშნული, კანონმდებლობა ბლანკეტურად ითვალისწინებს

მხარდამჭერის ვალდებულებას, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას

- საერთო სასამართლოების მიერ რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში კვლავ სისტემურად დგას მხარდაჭერის დანიშვნის ბლანკეტურობის, ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევისა და პლენარული მეურვეობის პრობლემები
- სასამართლოს გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილების ანალიზიდან იწკვევა, რომ არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების ამ ნაწილის ერთიანი ფორმა
- სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს ბლანკეტურ ვალდებულებას – ყველა მხარდაჭერის მიმღებმა პირმა დადოს საქორწინო კონტრაქტი, მიუხედავად იმისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით არის თუ არა ეს გათვალისწინებული
- კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღები პირისთვის სასამართლოს და ინდივიდუალური შეფასების გარეშე, ზოგი უფლების ბლანკეტურ ჩამორთმევას. ეს უფლებებია: მშობლის და ზოგიერთი მასთან დაკავშირებული უფლება, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, უფლება, რომ ინფორმირებული და მკაფიო თანხმობის გარეშე პირი არ გახდეს სამედიცინო კვლევის ობიექტი
- მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილეობისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განმსაზღვრელი ნორმები ძირითადად აკმაყოფილებს ადამიანის უფლებების სტანდარტებს, არსებობს ერთი პრობლემა, რომელიც შეეხება ბუნდოვან რეგულირებას. კერძოდ, გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობისას არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ქმედუუნარო პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს საკუთარი სტატუსის გადასინჯველის მოთხოვნით
- საერთო სასამართლოების ნაწილი არ იცავს საპროცესო ვადებს

## 4. ქვლევის ანგარიში

### 4.1. საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონვენციის სტანდარტი და საკანონმდებლო ჩარჩო რეფორმის შემთხვევა

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თითოეული ადამიანის ფსიქოსოციალური საჭიროება უნიკალურია, ამიტომ „[...]შეუძლებელია კანონმდებლობით ქმედუნარიანობის შეზღუდვის ინდივიდუალური საჭიროებების სრული და ზედმიწევნით განსაზღვრა.“<sup>2</sup> თუმცა კანონმდებელს ევალება მკაფიოდ დაუდგინოს კრიტერიუმები, „[...] გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე სუბიექტებს, იქნება ეს სასამართლო, ფსიქიატრიული დაწესებულება თუ სხვა, რათა ზუსტად იყოს შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რა ხარისხის [...]ფსიქოსოციალური საჭიროების...] არსებობისას უნდა მოხდეს პირის [...]ქმედუნარიანობის შეზღუდვა...] და რა მასშტაბით.“<sup>3</sup>

სასამართლომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებების დაცვის ღონისძიებების განსაზღვრისას სახელმწიფოს სამი პრინციპი დაუწესა:<sup>4</sup>

- სამართლებრივი რეგულირების მოქნილობის პრინციპი
- ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების პრინციპი
- დაცვითი ღონისძიების პირის ქმედუნარიანობის ხარისხთან თანაზომი-ერების პრინციპი

ამდენად, საკანონმდებლო ჩარჩო პირის უფლებების შეზღუდვისას, ერთი მხრივ, უნდა ადგენდეს ცალსახა და არაორაზროვან კრიტერიუმებს, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნულ სამ პრინციპს უნდა პასუხობდეს.

კონვენციის მე-12 მუხლი, ერთი მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოებს აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალსუ-ბიექტობა,<sup>5</sup> ხოლო მეორე მხრივ, მიიღონ შესაბამისი ზომები მათვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც შეიძლება სჭირდებოდეთ სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზებისათვის.<sup>6</sup> ეს უკანასკნელი გულისხმობს გადასვლას გადაწყვეტილების მიღებაში

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.27.

3 იქვე.

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.28.

5 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

6 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

ჩანაცვლების პარადიგმიდან გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პარადიგმაზე.<sup>7</sup>

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საკანონმდებლო პაკეტში ძირითადი იყო კანონი „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“. ეს აქტი უმთავრესი დოკუმენტია საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობისთვის სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები ამ დოკუმენტით განისაზღვრება.<sup>8</sup>

ასევე მნიშვნელოვანი აქტია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის მე-12 მუხლი განსაზღვრავს ქმედუნარიანობის ცნებას. კოდექსის აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი ეხება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს. კანონი გამოყოფს რამდენიმე ნიშანს, რომელიც პირისთვის მხარდამჭერის მიმღების სტატუსის მინიჭებას იწვევს:

- პირის გონიერივი/ინტელექტუალური დარღვევები
- ამ დარღვევების სიმყარე, რაც ამ შემთხვევაში მიუთითებს დროის კრიტერიუმზე და დაკავშირებულია დარღვევის ხანგრძლივობასთან
- აღნიშნულიმყარიდარღვევებითავისთავადსაკმარისიარარის, სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას ისინი ამავდროულად ხელს უნდა უშლიდნენ პირის მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში
- დაბრკოლებად ჩაითვლება ისეთი რამ, რაც სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას საზოგადოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში
- თუმცა, არც უბრალოდ „გართულების“ ფაქტია საკმარისი. იგი გავლენას უნდა ახდენდეს სხვებთან თანაბარ პირობებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულ და ეფექტური მონაწილეობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ნიშნები კუმულატიურია და პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისთვის საჭიროა მათი ერთდროულად არსებობა.

### **რეფორმის შემდგომი საკანონმდებლო რეალობა მეტწილად ითვალისწინებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ**

<sup>7</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი C/GC/1, პ.4, ადამიანის უფლებების სნავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევის, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება. კანონმდებლობა და პრაქტიკის ანალიზი, კვლევის ხელმძღვანელი: ლინა ღვინიანიძე, კვლევის ავტორი: ლელა გვიშანი, 2016 წლი, გვ.9.

<sup>8</sup> ფსიქოსოციალურ საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

საჭიროებებს და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონვენციის მოთხოვნებს.

## 4.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ქალაში შესვლა

### 4.2.1. სასამართლოს სტანდარტი

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ მთელი რიგი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო, მაგრამ მათი მხოლოდ ნაწილი გამოაცხადა ძალადაკარგულად გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, მეორე ნაწილი კი 2015 წლის 1 აპრილს შეწყვეტდა მოქმედებას. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს 6 თვე ჰქონდა რეფორმისთვის, მანამდე კი ძველი ნორმებიმოქმედებდა. ამგადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ამჯობინა უფლებადამრღვევი ნორმები რამდენიმე თვით დარჩენილიყო ძალაში, ვიდრე სფერო რეგულირების გარეშე დაეტოვებინა. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იზრდებოდა თავად ამ პირების მოწყვლადობით ბოროტად სარგებლობის რისკი, რაც ზიანის მომტანი იქნებოდა თავად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის.

### 4.2.2. ცვლილებები კანონმდებლობაში

საკანონმდებლო რეფორმა ვერ მოექცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში და მისი სრულფასოვნად ამოქმედება 6-თვიან ვადას 2 თვით გადასცდა.

„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ამავე კანონის მე-13 მუხლის ამოქმედება 2015 წლის 1 ივნისამდე გადაიდო.<sup>9</sup> ამ დრომდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესი და სტანდარტები უნდა დაემტკიცებინა.

გადადებული ნორმა ერთ-ერთი არსებითია კანონში. სწორედ იქ არის განსაზღვრული მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონედ ცნობას. უიმისოდ შეუძლებელი იქნებოდა კანონის ამოქმედება. აღნიშნული შეყოვნება პროცესს დამატებით 2 თვით ყინავდა, არადა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად იყო ძალაში შესული. საკანონმდებლო სივრცე რეგულირების გარეშე დარჩა, რაც

<sup>9</sup> „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

იმას ნიშნავს, რომ ამ დროის განმავლობაში სასამართლო ვერც ერთ პირს ვერ ცნობდა ვერც ქმედუუნაროდ და ვერც მხარდამჭერის მიმღებად. ამდენად, მათი უფლებების დაცვის გარეშე დატოვებით, სახელმწიფომ უარი თქვა საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე.

#### 4.3. ტერმინულობის

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/6 ბრძანება ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარეექსპერტიზისჩატარებისწესისადასტანდარტებისდამტკიცების თაობაზე, პირს, რომლის ფსიქოსოციალური საჭიროების ექსპერტიზაც ტარდება, უკვე მოიხსენიებს „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად“,<sup>10</sup> მაშინ როდესაც ექსპერტიზამ შესაძლოა საერთოდ არ ცნოს პირი ასეთად. ნორმატიული აქტის ამგვარი ხედვა მიუღებელია. არ უნდა შეიქმნას წინასწარი განწყობა, რომლითაც ნებისმიერი პირი, ვინც ექსპერტიზაზე წარსდგება, იმთავითვე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონეა.

ამდენად, მინისტრის ბრძანებაში უნდა შევიდეს ცვლილება, სადაც ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი პირი აღარ იქნება იმთავითვე „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად“ გამოცხადებული.

#### 4.4. პირთა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის ზოგადი სტატისტიკა


ექსპერტიზის მიერ დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, სასამართლო პირს თითქმის ყოველთვის ცნობს მხარდაჭერის მიმღებად, თუმცა მხარდაჭერის მიღების ფარგლების შესახებ ექსპერტის რეკომენდაციას ავტომატურად არ ითვალისწინებს.

საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის მოთხოვნით მიმართეს 988 განცხადებით. სასამართლომ შემაჯამებელი აქტი 519 განცხადებასთან დაკავშირებით მიიღო. აქედან 341 აქტი არის გადაწყვეტილება მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებით, ხოლო 178 სხვადასხვა მოტივით გამოცემული განჩინებაა.

10 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/6 ბრძანება ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე, მე-6 მუხლი.

## პირთა მხარდაჭერის მისაღებად ცნობის ზოგადი სტატისტიკა

- სასამართლოსთვის მიმართვა ცნობის მოთხოვნისთვის
- მათ შორის სასამართლომ მიიღო შემაჯამებელი აქტი
- სასამართლოს შემაჯამებელი აქტით ცნობილი იქნა მხარდაჭერის მიმღებად
- სასამართლოს შემაჯამებელი აქტით სხვადასხვა მოტივით დაიწერა განჩინება



სასამართლოს განჩინებათაგან:

- 92 განჩინება - განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ განმცხადებლები არ ითვალისწინებენ ახალ რეგულაციებს. საქმის წარმოებაში მიღებაზე უარი რიგ შემთხვევებში განპირობებულია განსჯადობით ან სასამართლოს მიერ დადგენილი სხვადასხვა ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში გამოუსწორებლობით. ხარვეზები ძირითადად უკავშირდება მხარდაჭერის მიმღებისა და მხარდამჭერის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და იმ სამედიცინო დოკუმენტაციის წარუდგენლობას, რომელსაც ეფუძნება განცხადება პირის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ.
- 52 განჩინება - განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნული განჩინებების აბსოლუტური უმრავლესობა მიღებულია განმცხადებლის მიერ განცხადების და საქმის მასალების გამოთხოვის საფუძველზე (კონკრეტული მოტივის მიუთითებლად).
- 24 განჩინება - საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. უმეტეს შემთხვევაში საქმის წარმოება წყდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის გარდაცვალების გამო. ან ექსპერტიზის ბიუროდან მიღებული უარყოფითი დასკვნის დროს.
- 9 განჩინება - დროებით მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ. დროებით მხარდაჭერა ძირითადად საპენსიო საქმის წარმოების (პენსიის და სხვა სახის სახელმწიფო გასაცემლის, აღდგენის, მიღებისა და განკარგვის), ასევე მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვისა და მხარდაჭერის მიმღებად

საცნობი პირის კუთვნილი ფულადი სახსრებისა და საპანკო ანგარიშების მართვისა და განკარგვის მიზნით წესდება.<sup>11</sup>

- 1 განჩინება - საქმის წარმოებაში მიღების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ განცხადება აკმაყოფილებდა დასაშვებობის კრიტერიუმებს და მიღლო აღნიშნული განჩინება.

საბოლოოდ გამოდის, რომ სასამართლოს წინაშე 344 შემთხვევაში იდგა პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხი, რომელიც 341 შემთხვევაში დადებითად გადაწყვიტა და პირს დაუნიშნა მხარდამჭერი, იმ 3 შემთხვევაში კი, როდესაც უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო, გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა, რომელიც ექსპერტიზის ბიუროს უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სასამართლოს დისკრეციას არ უტოვებს და სასამართლო განხილვის შეწყვეტას ავალდებულებს. გამოდის, რომ ექსპერტიზის ბიუროს მიერ დადებითი დასკვნის მომზადების შემთხვევაში, სასამართლო ყოველთვის ცნობს პირს მხარდაჭერის მიმღებად. რაც შეხება მხარდაჭერის ფარგლებს, იმ 28 შემთხვევიდან, რომელ საქმეებზეც გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილი არსებობს და ამდენად, შესაძლებელია ამგვარი დაკვირვების გაკეთება, სასამართლომ 19 შემთხვევაში უფრო ვიწრო ფარგლებში დანიშნა მხარდაჭერა, ვიდრე ამას ექსპერტიზის დასკვნა ითვალისწინებდა.

ამასთან, სასამართლომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ 341 გადაწყვეტილებიდან სრულად 319 (95%), ნაწილობრივ კი, 14 განცხადება (4.1%) დააკმაყოფილა, 8 გადაწყვეტილებაში არ ჩანს განცხადება სრულად დააკმაყოფილა თუ ნაწილობრივ.

11 დროებითი მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ სასამართლოს განჩინებები ძალას კარგავს 3 შემთხვევაში: პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიღებული უარყოფითადასკვნის სფუძველზე ან განმცხადებლის მიერ განცხადების განმობისა და საქმის წარმოების შეწყვეტის დროს. დროებითი მხარდაჭერის შესახებ მიღებული განჩინებების ზემოთ ხერებული სტატისტიკა (9 განჩინება) (9 განჩინება) მოიცავს მხოლოდ იმ განჩინებებს, რომლებიც ძალაში იყო წინამდებარე კვლევის საანგარიშო პერიოდში (2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 31 იანვრის მდგომარეობით). აღსანიშნავია, რომ მხარდაჭერის მიმღებად პირის ცნობის შესახებ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების უმრავლესობიდან არ ირკვევა, ამ პირს მანამდე ჰქონდა თუ არ დანიშნული დროებითი მხარდამჭერი, თუმცა, საერთო სასამართლოებიდან მოგვიანებით გამოთხოვილი დროებით მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ განჩინებების ანალიზი ჩატარდა, რომ სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე, უმრავლეს შემთხვევაში დანიშნულია დროებითი მხარდაჭერა. იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რა სფეროებში ინიშნება დროებითი მხარდაჭერა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადებათ ძროითადად ის პირები მიმართავდნენ, რომელთაც მხარდაჭერის მიმღების სოციალური პკეტის ან/და მისი შემოსავლის განკარგვის საჭიროება ამოძრავებდათ.

## სასამართლოს გადაწყვეტილებაპირთა მხარდაჭერის მისაღებად ცნობის შესახებ (სულ 341)



### 4.5. საერთო სასამართლოების მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთება

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე დაცულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით და სხვა საერთაშორისო აქტებით.

სამოტივაციო ნაწილი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია, სიცოცხლისუნარიანს ხდის გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებას, რომელიც ასევე არის დაცული ზემოაღნიშნული აქტებით. უიმისოდ შეუძლებელი ხდება აპელაცია, რადგან კონკრეტული პირისთვის არ არის ცნობილი მის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებისარგუმენტაცია, რაცგამორიცხავსარგუმენტებისმოხმობას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან სამართლებრივ დაპირისპირებას. ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებით ხდებოდეს, სადაც ნაჩვენები იქნება, რომ ამ ნაბიჯს სასამართლო პირის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე დგამს.

## 4.6. სამოტივაციო ნაიდულის არარსებობა


საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილებების დიდ უმრავლესობას მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გააჩნია, რაც შეუძლებელს ხდის მხარდაჭერის დანიშვნის საჭიროების გარკვევას. ამასგარდა, საერთოსასამართლოების ნაწილითავად მხარდაჭერის მიმღებ პირს არ განიხილავს მხარედ და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას ისე აქვეყნებს, რომ მის დამოკიდებულებას აღნიშნულისადმი არ იკვლევს.

პირის ფსიქოსოციალური საჭიროებების დადგენა და მხარდამჭერის დანიშვნა სამოქალაქოსაპროცესო კანონმდებლობის მიხედვითხდება. საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ, კოდექსს დაემატა ახალი თავი, რომელიც განსაზღვრავს მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მიხედვით, თუ მხარეები მოითხოვენ გადაწყვეტილებას დასაბუთების გარეშე, სასამართლოს უფლება აქვს ეს უკანასკნელი აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილის გარეშე გამოაქვეყნოს. პროცედურა ასეთია; საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, მოსამართლე ეკითხება მხარეებს, სურთ თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ასაჩივრებენ თუ არა მოცემულ გადაწყვეტილებას. თუ მხარეები უარს ამბობენ მის გასაჩივრებაზე და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე, მათ თავისი უარი ხელმოწერით უნდა დაადასტურონ.


ცხადია, ამგვარი რეგულირება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას, თუმცა მას კონკრეტული მიზანი - სასამართლოს განტვირთვა და ადმინისტრირების გაუმჯობესება აქვს დასახული. შესაძლოა ეს მიზანი ადეკვატურად გამოიყურებოდეს რუტინულ კერძო დავებში, მაგრამ როდესაც საქმე პირის ქმედუნარიანობის საკითხის განსაზღვრას ეხება, აშკარად არაპროპორციულად გამოიყურება. ინტერესი - პირის უფლებების შეზღუდვას ნებისმიერ შემთხვევაში დაედოს საფუძვლად მოტივირებული გადაწყვეტილება, აღემატება სასამართლოს განტვირთვის და ადმინისტრირების გაუმჯობესების ინტერესს.

საკითხის ანალიზისას მნიშვნელოვანია სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნული დისკრეცია 341-დან 28 შემთხვევაში არ გამოიყენეს, დანარჩენი 313<sup>12</sup> გადაწყვეტილება კი ჩამოყალიბებულია მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილით. შესაბამისად, ადამიანთა 95,48%-ის უფლებებში უხეში ჩარევა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოხდა.

12 313 სარეზოლუციო გადაწყვეტილებიდან 1 არის გადაწყვეტილება მხარდაჭერის ფარგლების გაფართოების შესახებ.



ამასთანავე, არსებითია სასამართლოს ხედვა, ვის მოიაზრებს „მხარედ“, რომელსაც მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გარეშე გამოტანის მოთხოვნის უფლება აქვს. აღნიშნული 313 გადაწყვეტილებიდან მხოლოდ 164 გადაწყვეტილებაში ჩანს პროცედურა, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო აღნიშნული უფლებამოსილებით სარგებლობისას, თუ ვისითანხმობით იღებს სასამართლო ამგვარ გადაწყვეტილებას. ამ 164 გადაწყვეტილებიდან 50 შემთხვევაში „მხარედ“ მითითებულია თავად მხარდაჭერის მიმღებიც, 55 შემთხვევაში მხოლოდ განმცხადებელი, ხოლო 59 შემთხვევაში განმცხადებელი და დაინტერესებული პირი, თუმცა არ ირკვევა, ვინ მოიაზრება ამ უკანასკნელში.



აღნიშნულისტატისტიკაცალსახადაჩვენებს, რომარსებობს კანონმდებლობის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა,<sup>13</sup> რომლის ერთი ვარიანტის მიხედვით სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე უარისთვის თავად მხარდაჭერის მიმღები პირის თანხმობა სავალდებულოდ არ მიიჩნევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის ფისქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობის გადაწყვეტილებაზე არ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სრულად (სამოტივაციო ნაწილის ჩათვლით) გამოქვეყნებას.

#### 4.7. დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებების შაბლონერობა

საერთო სასამართლოების ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს სამოტივაციო ნაწილს, შაბლონური და დაუსაბუთებელია.

პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების 4,52% შეიცავს სამოტივაციონაწილს. თუმცაეს გადაწყვეტილებებიუალრესადპრობლემურია დასაბუთებულობის თვალსაზრისით. აქ მოყვანილი არგუმენტები მოიცავს მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის ციტირებას, რომელიც, თავის მხრივ, აბსოლუტურად შაბლონურია.

სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოტანილ მტკიცებებს, რომლებიც საფუძვლად ეფება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას, დამაჯერებლობას მათივე განმეორებადი ხასიათი უკარგავს. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, ყველა იმ მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირის ფაქტობრივად იდენტური საჭიროებებისგანსაზღვრისგონივრულობისშესახებ, რომელიცსასამართლოს სამოტივაციო ნაწილშია მითითებული. ვინაიდან ამ დოკუმენტებში არ არის დამაჯერებელი მსჯელობა მხარდაჭერის მიმღები პირის ასეთად ცნობის შესახებ, ეს აჩენს განცდას, რომ სასამართლო მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე ცნობს პირს მხარდაჭერის მიმღებად და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა შესახებ საზოგადოებაში არსებულ სტიგმას ემყარება. ამდენად, არსებული პრაქტიკა ენინააღმდეგება კონვენციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ სტანდარტს და არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს.

აუცილებელია სასამართლომ მეტი ყურადღება დაუთმოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის პრობლემას და ამ მიზნით შეიმუშაოს მოსამართლეთა გადამზადების პროგრამა.

<sup>13</sup> იმავე დასკვნამდე მიდის EMC დასახლებულ ანგარიშში, გვ.46.

## 4.8. ქმედუნარიანობის შეზღუდვის ფარგლები

### 4.8.1. საკონსტიტუციო სასამართლოს ხედვა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, პირის უფლება ქმედუნარიანობაზე დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით, სადაც ვკითხულობთ, რომ „ყველას აქვს საკუთარი თავის თავის თავისუფალი განვითარების უფლება“, ასევე არსებობს უფლება თანასწორობაზე, დაცული მე-14 მუხლით, რომელიც იცავს პირის უფლებას საკუთარი შეზღუდუდავი უნარები სხვების მსგავსად თანასწორად გამოავლინოს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ამ ნაწილში იმსჯელა ქმედუნარიანობის ისეთ ასპექტებზე, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდება.<sup>14</sup> სასამართლომ ქმედუნარიანობა განიხილა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების ცალკეულ ასპექტებთან (მაგ., მაღალი რისკის შემცველი გარიგებები) მიმართებით, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს პირის ქმედუნარიანობის ორი კატეგორია; პირველი - უფლების კონკრეტულ ასპექტთან მიმართებით სრული ქმედუნარიანობა, მეორე - უფლების კონკრეტულ ასპექტთან მიმართებით სრული ქმედუუნარობა (როდესაც კონკრეტული უფლებით დამოუკიდებელი სარგებლობა შეზღუდვა ხდება).<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევისას სასამართლო საუბრობს პირის მიერ არა გადაწყვეტილების მიღების სრულ უუნარობაზე, არამედ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უუნარობაზე,<sup>16</sup> ეს გამორიცხავს მეურვის მიერ ნების ჩანაცვლებას და შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ მხარდაჭერას, ანუ ერთობლივ გადაწყვეტილებას. ამავდროულად, სასამართლოს ხედვით, შეუძლებელია პირი, ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლების ყველა ასპექტთან მიმართებით, სრულად ქმედუუნაროდ იქნეს მიჩნეული (მაგ., მცირე საყოფაცხოვრებო გარიგებები).<sup>17</sup> სასამართლოსთვის „ქმედუნარიანობის სრული შეზღუდვა“ არის უფლების რაიმე ასპექტის/ების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლების შეზღუდვა. დამოუკიდებელი „გადაწყვეტილების მიღების უფლების შეზღუდვა“ არ გულისხმობს პირისთვის ყველა უფლების ბლანკეტურად ჩამორთმევას, არამედ მისი თავისუფლების შეზღუდვას იმ შესაბამის ფარგლებში, რომელსაც ინდივიდუალური შეფასების შედეგად საერთო სასამართლო განსაზღვრავს. ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის მიხედვით, „კონვენციის მე-12 მუხლის ნამდვილი შინაარსი ენინაალმდეგება სამართალსუბიექტობის აღიარებისას დისკრიმინაციულ მიდგომებს, გმობს ნების ჩანაცვლებითი მექანიზმების გამოყენებას და მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ან რაიმე დარღვევის (ფიზიკური თუ მგრძნობელობითი)

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.10.

15 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, შდრ. II.30.

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.42.

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.30.

არსებობა არასდროს უნდა გახდეს სამართალსუბიექტობაზე ან ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>18</sup>

## 4.8.2. საკანონმდებლო რეფორმა

### 4.8.2.1. მხარდაჭერის ინსტიტუტი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, კანონმდებლობაშიპირდაპირარისგათვალისწინებულისაერთოსასამართლოს შესაძლებლობა, მხარდაჭერა დანიშნოს წვრილმანი გარიგებების დადების ნაწილში;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, განსაზღვრა მხარდაჭერის მიმღების და მხარდამჭერის ცნებები, რომელიც გამოიყენება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების შემთხვევაში. ნოვაციის მიხედვით, განსხვავებით პლენარული მეურვეობის მოდელისგან, სადაც მეურვე აბსოლუტურად ანაცვლებდა სამეურვეო პირის ნებას, მხარდამჭერის მოვალეობაა ხელი შეუწყოს მხარდაჭერის მიმღებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში,<sup>19</sup> გარიგების დადებისას დაეხმაროს მას გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში.<sup>20</sup> აღნიშნული გამომდინარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებიდან, რომლის მიხედვითაც კანონის მიზანი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების ნების სრული ჩანაცვლების საპირისპიროდ, სოციალურფუნქციონირებასთანდაკავშირებულიგადაწყვეტილებისმიღების პროცესში მათი მხარდაჭერა უნდა იყოს.<sup>21</sup> მხარდამჭერის<sup>22</sup> „უფლებამოსილება მკაცრად უნდა შემოიფარგლებოდეს იმ საკითხებით, რომლებშიც ადამიანს არ გააჩნია ნების ფორმირების შესაძლებლობა, ხოლო ქმედუუნარო პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ გადაწყვეტილებები მათი შეუზღუდავი უნარების ფარგლებში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მეურვის თანხმობით.“<sup>23</sup> როგორც გამოჩნდა, სამოქალაქო კოდექსის დონეზე ეს შესაბამისობა არსებობს.

ზოგადი წესის მიხედვით, მხარდაჭერის მიმღების მიერ დადებული ისეთი გარიგება, რომელიც მხარდაჭერას საჭიროებს, მხოლოდ მაშინ არის

18 დასახელებული ზოგადი კომენტარი N1, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი C/GC/1, პ.9, EMC-ის დასახელებული კვლევის, მეშვეობით, გვ.10.

19 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

20 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.40.

22 სასამართლო იპერიორებს მაშინ მოქმედი ტერმინებით, მაგრამ კორექტულობიდან გამომდინარე წინამდებარე ანალიზში გამოიყენებული დღეს მოქმედი ტერმინები. მეურვე - მხარდამჭერი, ჭუა-სუსტი, სულიოთ ავდამყოფი - ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.40.

ნამდვილი, თუ მას შემდგომ მხარდამჭერი მოიწონებს.<sup>24</sup> წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაზე სამოქალაქო კოდექსი დამატებით წესს ადგენს, რომლის მიხედვითაც მხარდაჭერის მიმღების მიერ მხარდაჭერის ფარგლებში დადებულ ასეთ გარიგებას მხარეების გარდა, ხელს უნდა აწერდეს მხარდამჭერი.<sup>25</sup> აღსანიშნავია, რომ როგორც ზეპირ, ისე წერილობით ხელშეკრულებაზე, მხარდამჭერის მიერ თანხმობის გამოხატვა მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ გარიგებების დროს არის სავალდებულო, როდესაც და სადაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ამგვარირამარის განსაზღვრული. ეს რეგულირება აპსოლუტურ შესაბამისობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, სადაც სასამართლომ განსაუთრებული ყურადღება გაამახვილა ქმედუნარიანობის აპსოლუტურ და ბლანკეტურ ჩამორთმევაზე, რომელიც უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, რაც „განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღვდველ საშუალებას.“<sup>26</sup> სასამართლომ, მართალია, ამგვარ საშუალებად თავად ფისიოსოციალური საჭიროების მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვა მიიჩნია,<sup>27</sup> მაგრამ ჩათვალა, რომ იმავე მიზნის მიღწევა სხვა უფრო მსუბუქი საშუალებითაც იქნებოდა შესაძლებელი. მაგალითად, ასეთი იქნებოდა არა დადებული გარიგების ავტომატურად ბათილობა, არამედ მეურვის/მხარდამჭერის შესაძლებლობა post factum მოარგოს ის პირის ინტერესებს.<sup>28</sup>

კანონის მიხედვით, მხარდამჭერის მოწონება არ სჭირდება ისეთ გარიგებას, სადაც მხარდაჭერის მიმღები სარგებელს ნახულობს.<sup>29</sup> აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებასთან, ვინაიდან არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვას გარიგებაში, რომლითაც მას ზიანი არ ადგება.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური სიახლეებისა, სამოქალაქო კანონმდებლობა სრულად ვერ ასახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და პირისთვის მცირე, საყოფაცხოვრებო გარიგებებში შესვლის უფლების შეზღუდვასაც შესაძლებლად მიიჩნევს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხარდაჭერა დანიშნოს წვრილმანი გარიგებების დადების ნაწილშიც კი,<sup>30</sup> მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებაში პირდაპირ წერია: „რეგულაცია, რომელიც უპირობოდ ყველა ტიპის, მათ შორის, მცირე

24 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი.

25 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილი.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.13.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.14.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.21.

29 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი.

30 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>15</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

მნიშვნელობის ყოფით სამოქალაქო გარიგებებზეც ვრცელდება, უფლებაში ჩარევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს.<sup>31</sup>

აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და გაუქმდეს მხარდაჭერის მიმღები პირისთვის წვრილმანი გარიგებების დადების უფლების შეზღუდვა.

კანონმდებლობა ბლანკეტურად ზღუდავს მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებას - იყოს სხვა პირის მხარდამჭერი იმ სფეროში, რომელშიც თავად არ აქვს მხარდაჭერა დანიშნული.

მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს 4 კატეგორიის პირი. ესენია, მხარდაჭერის მიმღების<sup>32</sup>:

- ოჯახის წევრი
- ნათესავი
- ახლობელი
- სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს

თუ მხარდამჭერის აღნიშნული პირებისაგან არჩევა ვერ მოხერხდა, სასამართლო მხარდამჭერად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს, ხოლო თუ მხარდაჭერის მიმღები სპეციალიზებულ დაწესებულებაშია მოთავსებული - ამ დაწესებულების წარმომადგენელს.<sup>33</sup>

კოდექსი კრძალავს იმ პირის მეურვედ, მზრუნველად ან მხარდამჭერად დანიშვნას, რომელიც სასამართლომ თავად მხარდაჭერის მიმღებად ცნო.<sup>34</sup> ეს მაშინ, როდესაც შესაძლოა მეურვეობა, მზრუნველობა, ან მხარდაჭერა არ შეეხებოდეს სოციალური ცხოვრების იმ ნაწილს, რომელშიც კონკრეტული პირი მხარდაჭერის მიმღებად არის ცნობილი. ამგვარი ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც არ ითვალისწინებს კონკრეტული პირის ინდივიდუალურ მონაცემებს, უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს.

უნდა გაუქმდეს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ბლანკეტურად ზღუდავს მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებას - იყოს სხვა პირის მხარდამჭერი იმ სფეროში, რომელშიც თავად არ აქვს მხარდაჭერა დანიშნული.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახლებული გადაწყვეტილება, II.30.

32 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

33 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

34 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1283-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

#### 4.8.3. მხარდამჭერის ვალდებულებები

კანონმდებლობა, მაშინაც კი, როდესაც პირს მხარდაჭერა არ აქვს დანიშნული სამედიცინო მომსახურებაში, ბლანკეტურად ითვალისწინებს მხარდაჭერის ვალდებულებას, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას.

კოდექსის მიხედვით, მხარდამჭერს განსაზღვრული აქვს ბლანკეტური ვალდებულებები<sup>35</sup>:

- თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას;
  - დადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში;
  - დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ ალარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუწესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს<sup>36</sup>;
  - მხარდამჭერი აგრეთვე ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მის მიერ დადგენილ ვადაში (რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს) მიანოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერმა უნდა მიუთითოს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებული თავისებურებები;

გარდა ამისა, შესაბამის შემთხვევებში, მხარდაჭერის ვალდებულებაა, თუ ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული, გარიგების დადებისას, მხარდაჭერის მიმღებს დაეხმაროს გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში.

პირველი ვალდებულება, რომელიც ამავდროულად მხარდაჭერის მიმღები პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას გულისხმობს, ბლანკეტურია და შეუძლებელია ყოველთვის გამომდინარეობდეს მხარდაჭერის მიმღების საჭიროებიდან. აღნიშნული ჩარევა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს განსაზღვრული, როდესაც სასამართლო ამგვარ უფლებამოსილებას სპეციალურად მიანიჭებს მხარდამჭერს.

35 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

36 საქართველოს სამიწალოქო კოდექსის 11292-ე მუხლი.

რაც შეეხება მეორე ვალდებულებას, სავარაუდოდ, აქ იგულისხმება მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღების სურვილებისა და არჩევანის იმ სფეროში დადგენა და შემდეგ მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება, რომელიც სასამართლოს მიერ პირდაპირ არის განსაზღვრული. თუმცა კოდექსის ფორმულირება იმგვარადაც შეიძლება იყოს გაგებული, რომ მხარდამჭერს აღნიშნული ვალდებულება სოციალური და პირადი ცხოვრების ყველა ასპექტში აქვს განსაზღვრული, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებასთან. ამიტომ უმჯობესია ეს ფორმულირება მეტად დაზუსტდეს.

აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიანიჭოს მხარდამჭერს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებაზე თვალყურის დევნების უფლება, თუ იგი შესაბამის სფეროშია მხარდამჭერად დანიშნული.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაზუსტდეს მხარდამჭერის ვალდებულება – მხოლოდ იმ სფეროში დაადგინოს მხარდაჭერის მიმღების სურვილები/არჩევანი და დახმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელშიც მხარდამჭერად არის დანიშნული.

#### 4.8.4. საერთო სასამართლოების პრაქტიკა

საერთო სასამართლოების მიერ რეფორმის აღსრულების პროცესში კვლავ სისტემურად დგას მხარდაჭერის დანიშნის ბლანკეტურობის, ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევისა და პლენარული მეურვეობის პრობლემები.

საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზიდან საგანგაშო დასკვნების გამოტანა შეიძლება. სასამართლო აქტების გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ტერმინი „ქმედუუნარო“ მექანიკურად არის ჩანაცვლებული „მხარდამჭერის მიმღებით“, რადგან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებები უმეტეს შემთხვევაში ფაქტობრივად ისევ ძველი წესის მსგავსად იზღუდება, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ამ პრობლემის თვალსაჩინოდ ჩვენებისთვის რამდენიმე მიმართულებით უნდა გაიშალოს მსჯელობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე რამდენჯერმე ნახსენებ საქმეში არაკონსტიტუციურად მიიჩნია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქმედუუნაროდ ცნობის ინსტიტუტი, მათ შორის, რამდენიმე ალტერნატიულ მიზეზად ბლანკეტურობა, ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევა და მეურვის მიერ ნების ჩანაცვლება დაასახელა. მაშინ არსებული ინსტიტუტი, სასამართლოს აზრით, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფალი განვითარებისა და თანასწორობის უფლებებს.

ამის აღმოსაფხვრელად სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებები უნდა დააფუძნოს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მხარდაჭერა უნდა დანიშნოსმხოლოდიმუფლებების, ანდამისიმასპექტებისრეალიზაციისთვის, რომელიც პირის ინტერესებიდან გამომდინარეობს, უარი უნდა თქვას ნების სრულ ჩანაცვლებაზე და ამის ნაცვლად მხარდამჭერის, როგორც დამხმარის როლზე უნდა გააკეთოს აქცენტი, და ბოლოს, მხოლოდ ისეთ უფლებებში, ანდა მის ასპექტებში უნდა დანიშნოს მხარდაჭერა, რომელიც პირის უშუალო აქტივობას არ მოითხოვს.

#### 4.8.4.1. ბლანკეტურობა და უფლებების სრული სპექტრის შეზღუდვა

სასამართლო აქტების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლო ძირითადად არ იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას. იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც ის ცდილობს კონკრეტული საქმის გარემოებებიდან ამოვიდეს, ეს მცდელობა ფაქტობრივად არასოდეს არის მიმართული პირის უნიკალური ფსიქოსოციალური საჭიროებების დადგენისაკენ. სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე როგორც ექსპერტიზის დასკვნები, არ ეფუძნება კონკრეტული პირის საჭიროებების ფუნდამენტურ შესწავლას. ამ დასკვნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ პირს მხარდამჭერი უნდა დაენიშნოს „ყველა სფეროში“. შეუძლებელია იმ შემთხვევათა სიმრავლეში, რომელიც ექსპერტიზის წინაშე დადგა, აბსოლუტურად ერთი დასკვნის ობიექტური საფუძვლები არსებობდეს. ეს განურჩევლობა და ბლანკეტურობა იმთავითვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ექსპერტიზის და სასამართლოს გადაწყვეტილებების კეთილსინდისიერებას.

მხარდაჭერის ფარგლების განსაზღვრისას 81 გადაწყვეტილებაში, ანუ 23.75% შემთხვევაში სასამართლო ფაქტობრივად არ აწესებს იმ უფლებათა კონკრეტულ ჩამონათვალს, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა წესდება. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო იყენებს ფრაზებს: „და სხვა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის ნაწილში“, „და ყველა სხვა სფეროში“, „და ყველა სხვა უფლების ნაწილში“.

დანარჩენ 260 გადაწყვეტილებაში კი უმეტესად მოცემულია უფლებების საკმაოდ ფართო წრე, რაც ასევე იძლევა შეშფოთების საფუძველს. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოიკვეთა იმ უფლებების ჩამონათვალი, რომელიც საერთო სასამართლოებმა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენეს პირის მიმართ. აღნიშნულ 260 შემთხვევაში უფლებების შეზღუდვის სიხშირე შემდეგია (თითოეულ გადაწყვეტილებაში რამდენიმე უფლება არის შეზღუდული ამიტომ მათი რაოდენობა აღემატება გადაწყვეტილების ოდენობას):

უფლების შეზღუდვის სიხშირე	260
სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის გამოხატვის თავისუფლება	25
პირადი ცხოვრების უფლება	29
ქორწინების უფლება	5
თავისუფალი მიმოსვლის უფლება	27
შეკრების უფლება	16
საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლება	18
სატრანსპორტო საშუალებების მართვა-განკარგვის უფლება	6
განათლების მიღებისა და მისი არჩევის უფლება	31
არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება	7
შრომითი საქმიანობა	35
სამეწარმეო საქმიანობა	43
საკუთრების უფლება	40
საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება	55
გარიგების დადება (აქედან წვრილმანი გარიგების დადება - 98, ხოლო გარიგების დადება, გარდა უძრავი ქონების განკარგვისა - 6)	195
უძრავ-მოძრავი ქონების მართვა/განკარგვა	77
უძრავი ქონების მართვა/სარგებლობა/განკარგვა (აქედან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანიზაციების შეთანხმებით უძრავი ქონების მართვა-განკარგვა - 8);	44
უძრავი ქონების მართვა (აქედან უძრავი ქონების მართვა გარდა იპოთეკით დატვირთვისა და გასხვისებისა - 6);	24
მოძრავი ქონების მართვა/განკარგვა	8
მემკვიდრეობის უფლება (აქედან მხოლოდ სამკვიდროს მიღება - 55);	106

მედიკამენტების შეძენა (აქელან რეცეპტით შესაძენი მედიკამენტების შეძენა - 37);	55
საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა	197
მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვა	243
ზიანის მიყენების თავიდან აცილების სფეროში	129
საპენსიო საქმის წარმოება/ჰენსიის ან სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ოვითმმართველობის გასაცემლის მიღება	260
მხარდაჭერის მიმღების სახელზე საპანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხის მიღების/სარგებლობა/განკარგვის უფლება	181
მხარდაჭერა წარმომადგენლობითი უფლების სფეროში	757

სასამართლოების მიერ წარმომადგენლობითი უფლების სფეროში მხარდაჭერის 757 შემთხვევაა განსაზღვრული. საქმე ის არის, რომ სასამართლოები ხშირ შემთხვევაში ცალ-ცალკე განსაზღვრავენ მხარდაჭერას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცალკეულ ასპექტებზე:

მხარდაჭერა წარმომადგენლობითი უფლების სფეროში	სულ 757
როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში	144
წარმომადგენლობა საპანკო და საკრედიტო დაწესებულებებში	134
წარმომადგენლობა კერძო პირებთან ურთიერთობის სფეროში	20
წარმომადგენლობა პენსიის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი დახმარების მისაღებად კომპეტენტური ორგანოსადმი მიმართვისა და დოკუმენტების შეგროვებისთვის	227
წარმომადგენლობა სასამართლოსადმი, ადმინისტრაციული ორგანოსადმი ან სხვა დაწესებულებისადმი	176
წარმომადგენლობა პირადობის მოწმობის აღების მიზნით	7
ფსიქიური აშლილობის მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით სარგებლობის მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტოსთან წარმომადგენლობის უფლება	48

8 შემთხვევაში ასევე ვხვდებით ჩანაწერს, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეკომენდაციას უკავშირებს მხარდაჭერის მიმღებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულის გარდა სხვა უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვას.

სასამართლოს იმ აქტებიდან, რომელთა ანალიზიც მონიტორინგის ფარგლებში მოხდა, შეიძლება გამოირჩის ძირითადად სამი ტიპის გადაწყვეტილება, სადაც:

- სასამართლოშაბლონურად ზღუდავს მხარდაჭერის მიმღებთა უფლებების სრულ სპექტრს;
- სასამართლოშაბლონურად ზღუდავს მხარდაჭერის მიმღებთა უფლებების ერთ ნაწილს;
- სასამართლო მხოლოდ იმ უფლებებს ზღუდავს, რაც სავარაუდოდ მხარდაჭერისთვის არის აქტუალური.<sup>37</sup>

პირველ შემთხვევას ვხვდებით გადაწყვეტილებების 23.75%-ში. პირთა ამ ნაწილს ყველა უფლებას უზღუდავენ. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს, როგორც წესი, იმათ ცნობენ მხარდაჭერის მიმღებად, ვისაც ყველა უფლებასთან მიმართებით სჭირდება მხარდაჭერი, არამედ იმას, რომ ყველას ყველა უფლებასთან მიმართებით ცნობენ მხარდაჭერის მიმღებად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა პირს ამის რეალური საჭიროება.

მეორე შემთხვევის დროს, ვითარება მოსამართლეთა ან სასამართლოს გემოვნებასა და სამოსამართლო სტილზეა დამოკიდებული, ზოგიერთი მეტნილად ქონებრივ უფლებებს უზღუდავს,<sup>38</sup> ზოგიერთი გარდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულისაკითხებისაყველა სხვა უფლების რეალიზაციას მხარდაჭერას უკავშირებს,<sup>39</sup> ზოგიერთი, როგორც უკვე აღინიშნა, განურჩევლად ყველა უფლებას უზღუდავს.<sup>40</sup> მიუხედავად იმისა,

37 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/13304-05 საქმეზე, საჩერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/80-15 საქმეზე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება N2/235-2015 საქმეზე, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 დეკემბრის N2/570-15 გადაწყვეტილება.

38 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება N1134860-2/501-15 საქმეზე, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება N1025578-2/262-15 საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/7799-15 საქმეზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/15453-15 საქმეზე.

კიდევ ერთი მიდგომა: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო მხარდაჭერის ნიშნავს ყველა უფლების და-საცავად გარდა უძრავი ქონების განკარგისა. ამ უფლებებში მხარდაჭერა მხარდაჭერის შეუძლია მხოლოდ მეტრულებისა და მზრუნველობის როგანოს რეკომენდაციის საფუძველზე. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება N820224015001080001 საქმეზე; ასევე, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება N82022415001127365 საქმეზე; პარი ამ შემთხვევაშიც მხარდაჭერის მიმღებად ითვლება შესაბამის სფეროებში, უბრალოდ მის მხარდაჭერას სასამართლო და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უკვე ერთობლივად ახორციელებს.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/16901-15 საქმეზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N2/338 გადაწყვეტილება, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N2/187-15 გადაწყვეტილება.

40 სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/183-2015 საქმეზე, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/246-2015 საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის N2-3043/15 გადაწყვეტილება, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის N2/107-15 გადაწყვეტილება, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 22 სექტემბრის N2/36-15 გადაწყვეტილება, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება N020224015001159120 (2/190-15) საქმეზე.

რომ უფლებების სრული სპექტრით შეზღუდვა დაახლოებით ერთი მეოთხედის შემთხვევაში ხდება, დარჩენილი გადაწყვეტილებების ანალიზი აჩვენებს, რომ შაბლონური მიღვომა ამ შემთხვევაშიც აქტუალურია. მაგალითად ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია, რომ პირველი ინსტანციის თითოეულ სასამართლოს ინდივიდუალური მიღვომა აქვს და სხვა სასამართლოსგან განსხვავდება, მაგრამ თავად ამ სასამართლოს შიგნით ყველა მოსამართლე იდენტურ გადაწყვეტილებას იღებს; არის მეორე ვარიანტიც, როდესაც ინდივიდუალური მოსამართლე სხვა მოსამართლისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებს, მაგრამ თავად მისი გადაწყვეტილებები ერთმანეთის იდენტურია, მიუხედავად განსხვავებული შემთხვევებისა:

სასამართლოს მიერ მიღებული იდენტური გადაწყვეტილებები	გადაწყვეტილებების რაოდენობა	მოსამართლეთა რაოდენობა
ამბოლაურის რაიონული სასამართლო	10	1
ახალციხის რაიონული სასამართლო	15	3
ბათუმის საქალაქო სასამართლო	14	3
ბოლნისის რაიონული სასამართლო	10	2
გურჯაანის რაიონული სასამართლო	14	1
ზესტაფონის რაიონული სასამართლო	33	3
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	21	3
რუსთავის საქალაქო სასამართლო	13	3
საჩხერის რაიონული სასამართლო	28	1
სენაკის რაიონული სასამართლო	21	2
სიღნალის რაიონული სასამართლო	18	2
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	15	1
ხაშურის რაიონული სასამართლო	14	3
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	8	2

ამას გარდა, არის რამდენიმე სასამართლო, რომელიც ფორმალურად სრულად არ ესადაგება ზემოაღნიშნულ ტენდენციებს, თუმცა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობაც, მაღალი ალბათობით, ზემოაღნიშნულ შემთხვევების მსგავსია.

- ახალქალაქის რაიონული სასამართლო - 5 იდენტური გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებები მიღებულია ერთი მოსამართლის მიერ;
- თბილისის საქალაქო სასამართლო - 17 იდენტური გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებები მიღებულია 2 სხვადასხვა მოსამართლის მიერ;
- თელავისრაიონულისასამართლო-9 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებები გამოტანილია 2 სხვადასხვა მოსამართლის მიერ. 7 გადაწყვეტილება აბსოლუტურად იდენტურია, ხოლო 2 მათგანში მხარდაჭერის ფარგლები მცირედით განსხვავებულია. ამ უკანასკნელის მსგავსი სიტუაციაა ოზურგეთსა (ერთი მოსამართლის მიერ მიღებული 10 გადაწყვეტილება) და სამტკრედის სასამართლოებში (3 მოსამართლის მიერ განხილული 37 საქმე).

სასამართლო არც მესამე შემთხვევაში ინტერესდება და არ აფასებს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ეს კი ენინააღმდეგება თავისუფალი განვითარების უფლებას, რადგან პირს იმ უფლებებით სარგებლობაში ექმნება დაბრკოლებები, რაც შესაძლოა სრულებით არ გამომდინარეობდეს მისი ინდივიდუალური შემთხვევიდან.

არის კიდევ ერთი ვარიაცია, რომელიც შესწავლილი საქმეებიდან ზემოაღნიშნულ 8 შემთხვევაში ვლინდება (გვ.32). სასამართლო აკეთებს უფლებების ამომწურავ ჩამონათვალს, მაგრამ დამატებით განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებას, მხარდაჭერს განუსაზღვროს დამატებითი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ენინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნას, კერძოდ კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი შეზღუდოს პირის უფლება და განუსაზღვროს მას მხარდაჭერა.<sup>41</sup>

პროცესურია სასამართლოს დამოკიდებულება ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით. სასამართლო ძირითადად არც იმას ასაბუთებს, თუ რატომ იზიარებს ექსპერტების მოსაზრებებს მხარდაჭერის ფარგლებთან დაკავშირებით, არ აკეთებს მათ შეფასებას,<sup>42</sup> და არც იმას, რატომ არ იზიარებს გაუზიარებლობის შემთხვევაში<sup>43</sup>. ეს იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სასამართლოს ქცევა თვითნებურია და არ არის დაფუძნებული მტკიცებულებების და გარემოებების შეფასებაზე.

ეს პრაქტიკა წინა და შემდგომ ქვეთავებში აღწერილი მონაცემების გათვალისწინებით, გვაფიქრებინებს, რომ ქმედუნარიანობის რეფორმა

41 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 363<sup>13</sup> მუხლი;

42 ცაგერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის N2/23-15 გადაწყვეტილება, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის N2-216-15 გადაწყვეტილება, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის N2-218-15 გადაწყვეტილება.

43 ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება N1004192-2/262-15 საქმეზე, ხელვაზარის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება N820224015001127359 საქმეზე, სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის N3/232-15 გადაწყვეტილება.

საქართველოში პირობითია. კანონმდებლობის ამგვარი განმარტება, რასაც საერთო სასამართლოები მიმართავენ, ეწინააღმდეგება კონსტიტუციისა და კონვენციის მოთხოვნებს.

#### 4.8.4.2. ნების ჩანაცვლება

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტობრივად დამკვიდრებული პრაქტიკაა, როდესაც მხარდამჭერი ენიშნება პირს და სასამართლოს მიერ მხარდამჭერის კომპეტენციად განისაზღვრება შეზღუდულ უფლებებში მხარდაჭერის „სრული მოცულობით გადაცემა“,<sup>44</sup> მხარდამჭერის მიერ უფლებების „თავად განხორცილება“<sup>45</sup> და „მხარდაჭერის მიმღების სახელით განხორციელება“<sup>46</sup>. სასამართლო გადაწყვეტილებების 85,82%-ის შემთხვევაში სასამართლოებს სწორედ მსგავსი ფორმულირება აქვთ გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილის სხვა პუნქტებში მითითებულია მხარდამჭერის ვალდებულება, თვალყური ადევნოს და დაადგინოს პირის სურვილები და დაეხმაროს პირს მის განხორცილებაში, საბოლოოდ გადაწყვეტილება ისე იყითხება, რომ ეს ორი სხვადასხვა ურთიერთობის მომწესრიგებელი დანაწესია. მხარდამჭერს ერთი მხრივ აქვს ვალდებულება დაეხმაროს ზემოთქმულში, მაგრამ მეორე მხრივ, ის სრულიად თავისუფალია თავად განსაზღვროს საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსი. მხარდაჭერის მიმღებ პირს კი მხარდამჭერის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც კი არ აქვს. ერთადერთი, რაც ასეთ შემთხვევაში მხარდაჭერის მიმღებს შეუძლია, ეს არის მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან გათავისუფლების თხოვნით მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში სასამართლო სრულად ათავისუფლებს მხარდამჭერს თავისი მოვალეობისაგან, რაც არ შეიძლება გაიგივდეს მხარდაჭერის ფარგლების განსაზღვრასთან კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს. ამდენად, აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რაც მხარდაჭერის მიმღებ პირს მისცემს უფლებას გაასაჩივროს მხარდამჭერის ცალკეული გადაწყვეტილებები სასამართლოში.

44 სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 ოქტომბრის N2/258-2015 გადაწყვეტილება, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N2/338 გადაწყვეტილება, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N2/330 გადაწყვეტილება, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/367-15 საქმეზე.

45 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის N2/3285-2015 გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს N2015 წლის 17 დეკემბრის N2/14458-15 გადაწყვეტილება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/15666-15 გადაწყვეტილება, თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის N2/339-15 გადაწყვეტილება.

46 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის N2/248-2015 გადაწყვეტილება, საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის N2/80-15 გადაწყვეტილება, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 აგვისტოს N2/233-2015 გადაწყვეტილება, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 იანვრის N2/394-15 გადაწყვეტილება.

აღნიშნული ფორმულირება ადგილს არ ტოვებს ინტერპრეტაციისთვის და პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მხარდამჭერს შეუძლია ყველა იმ უფლების დაუბრკოლებლად განხორცილება, რომელშიც მხარდამჭერად არის დანიშნული. ეს ფაქტობრივად ნების იმგვარი ჩანაცვლების სახესხვაობაა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, იმ მოტივით, რომ ის ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. ეს ორი შემთხვევა, არა კონსტიტუციურად ცნობილი ნორმა და მოქმედი პრაქტიკა იდენტურია იმ აზრით, რომ ორივე მათგანი მეურვეს აძლევს შესაძლებლობას ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის შესახებ გადაწყვეტილება მისი ნების გამორიცხვით მიიღოს. ეს ორი პრაქტიკა კიდევ უფრო ემსგავსება ერთმანეთს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასამართლოები, როგორც წესი, უფლებების ფართო სპექტრს, ან ზოგიერთ შემთხვევაში კი ყველა უფლებას უზღუდავენ მხარდაჭერის მიმღებ პირებს.

#### **4.8.4.3. მხარდამჭერის ფუნქცია ზოგიერთი უფლების რეალიზაციის დროს**

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ზოგიერთი უფლების ნაწილში მხარდამჭერის დანიშნით არის განპირობებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირად სასამართლო პირს მხარდაჭერის მიმღებად ცნობს ან ფართო უფლებებთან მიმართებით, ან სრულიად ყველა უფლებასთან, ხოლო მხარდამჭერს უფლებას აძლევს სრულად განახორციელოს პირის უფლებები. იმ უფლებების ჩამონათვალში, რომელშიც პირს მხარდამჭერი დაენიშნა, ვხვდებით ისეთ უფლებებსაც, როგორიც არის, მაგალითად, გამოხატვის და რწმენის თავისუფლება. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო მხარდამჭერს ანიჭებს უფლებას, კონკრეტული პირის ნაცვლად იწამოს რომელიმე რელიგია, ან არ იწამოს არცერთი, დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილებები, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებები და ა.შ., რაც ლოგიკურად ნარმოუდგენელია და უპირისპირდება თითოეული ამ უფლების არსეს, რომელთა მთავარი მიზანია თავად პირის შინაგანი დამოკიდებულების ქონა და მათი უშუალოდ კონკრეტული პირის ნებით გაზიარება გარესამყაროსთვის, ან ამ გაზიარებაზე უარის თქმა. ამდენად, შეუძლებელია ამ უფლებების შეზღუდვა და მათი რეალიზებისთვის მხარდამჭერის დანიშნვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ გამორიცხა მსგავსი შემთხვევის შესაძლებლობა. მან განაცხადა, რომ „კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს იმ სამართლებრივ ქმედებებს, რომელთა განხორციელება, მათი განსაკუთრებული პირადი ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელია ნარმობადგენლის მიერ. ასევე კანონმდებლობის განსასაზღვრია მეურვის რომელი გადაწყვეტილებები საჭიროებს სპეციფიკურ დასტურს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოსგან.“<sup>47</sup>

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.41.

ზემოაღნიშნული შემთხვევები სწორედ იმგვარი უფლებებია, რომელიც შეუძლებელია განხორციელდეს სხვა პირის, თუნდაც მხარდამჭერის მიერ. მიუხედავად ამისა, მსგავსი პრაქტიკა გვაფიქრებინებს, რომ საერთო სასამართლოებს არ გაუთვალისწინებიათ სასამართლოს გადაწყვეტილების აღნიშნული ნაწილი. ამაში წვლილი კანონმდებლობასაც შეაქვს, რომელიც არ მისდევს პრეცედენტულ სამართალს და არ განსაზღვრავს იმ უფლებების ჩამონათვალს, რომლის განხორციელებაც მხარდაჭერის გზით მესამე პირის მიერ დაუშვებელია.

ეს მაგალითები კიდევ ერთხელ აჩვენებს სასამართლოს მიდგომის არამართებულობას; ზედაპირულობას, რომლითაც საერთო სასამართლოები ეკიდებიან პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობას, ზოგიერთ შემთხვევაში კომიკურ შედეგებამდე მივყავართ. აღნიშნული განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, რადგან სამწუხაროდ, სწორედ ამ ირონიული მაგალითებით აჩენს ხელისუფლება საკუთარ დამოკიდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. ამდენად, კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს იმ უფლებების/უფლების ასპექტების ჩამონათვალი, რომლის შეზღუდვა და მის განხორციელებაში მხარდამჭერის დანიშვნა დაუშვებელია. იქამდე კი სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს ამგვარი უფლებების შეზღუდვისა და მათ განხორციელებაში მხარდამჭერის დანიშვნისაგან.

## 4.9. რას უნდა შეიცავდეს საერთო სასამართლოს გაცალკევებისას

### 4.9.1. კანონმდებლობა

სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება:<sup>48</sup>

- უფლება, რომლით სარგებლობისთვისაც უწესდება პირს მხარდაჭერა, აგრეთვე მხარდაჭერის ფარგლები
- მხარდამჭერის უფლებები და მოვალეობები
- მხარდამჭერის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა
- მხარდაჭერის ვადა და მისი გადასინჯვის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს
- პირის მხარდაჭერისათვის აუცილებელი სხვა გარემოებები

48 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>21</sup> მუხლის პირველი ნაწილი.

#### 4.9.2. სასამართლოს პრაქტიკა

სასამართლოს გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილების ანალიზიდან იწყვევა, რომ არ არსებობს ერთიანი სტანდარტი.

წინა ქვეთავში აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პირველი ოთხი საკითხი ყველა გადაწყვეტილებაშია მითითებული. რაც შეეხება ბოლოს: პირის მხარდაჭერისათვის აუცილებელ სხვა გარემოებებს, მხოლოდ 51 შემთხვევაშია განსაზღვრული.

ქვემოთ მოცემულია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებსაც სასამართლოები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილებში ეხებიან:

- მხარდაჭერის ვალდებულება, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში - 204 გადაწყვეტილება;
- მხარდაჭერის ვალდებულება, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რაც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდაჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს - 340<sup>49</sup> გადაწყვეტილება;
- მხარდაჭერის ვალდებულება, სასამართლოს დაუყოვნებლივ მიმართოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ არსებობს ან შეიცვალა ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს დაუწესდა მხარდაჭერა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს - 322 გადაწყვეტილება;
- მხარდაჭერის უფლება, მხარდაჭერის მიმღების სახელით, მისი ინტერესებიდან გამომდინარე დადოს აუცილებელი გარიგებები - 177 გადაწყვეტილება;
- მხარდაჭერის უფლება, მხარდაჭერის მიმღების სახელით მისი ინტერესებიდან გამომდინარე თვითონ განახორციელოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები - 116;

49 ერთი გადაწყვეტილება მიღებულია მხარდაჭერის ფარგლების გაზრდის შესახებ, ამდენად ის არ არის შეტანილი სტატიისგაში.

- მხარდაჭერის მიმღების უფლება, თუ სურს მხარდამჭერი თავისი მოვალეობისაგან გათავისუფლდეს, შესაბამისი მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს – 51 გადაწყვეტილება;
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულება, დაიცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღები და დაქმაროს მხარდამჭერს თავისი მოვალეობების შესრულებაში, რათა მან ხელი შეუწყოს მხარდაჭერის მიმღებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში - 51 გადაწყვეტილება;
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულება, მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაუწიოს მხარდამჭერის საქმიანობას ზედამხედველობა - 51 გადაწყვეტილება;
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულება, მას შემდეგ რაც მხარდამჭერი მიაწვდის სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში თავისი ინიციატივით გაუწიოს ფაქტობრივი ზედამხედველობა მხარდამჭერის საქმიანობას - 51 გადაწყვეტილება;
- მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულება, მიმართოს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით - 51 გადაწყვეტილება;
- მხარდაჭერის შეწყვეტა მხარდაჭერის მიმღები პირის გარდაცვალების ან იმ შემთხვევაში, თუ მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, აღარ არსებობს - 47 გადაწყვეტილება;
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ვალდებულება, გეგმიურად შეამონებოს მხარდამჭერის მიერ განხორციელებული მოქმედებების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობა - 47 გადაწყვეტილება;
- გადაწყვეტილების გადაგზავნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის, მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 დღისა, მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით - 70 გადაწყვეტილება;
- გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება - 286.

სასამართლოს გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილების ანალიზიდან ირკვევა, რომ არ არსებობს ერთიანი სტანდარტი. მოსამართლეები საკუთარი აქტების ამნაწილში სხვადასხვასაკითხებს არეგულირებენ. ეს მაშინ, როდესაც შაბლონური მიდგომა სწორედ აქ არის საჭირო. უნდა განისაზღვროს ერთიანი სტანდარტი, იმის შესახებ თუ რა შეაქვს მოსამართლეს სარეზოლუციო

ნაწილში, იქნება ეს მხარდამჭერის ვალდებულებები, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს ფუნქცია, გასაჩივრების უფლება თუ სხვ.

აუცილებელია, შეიქმნას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შაბლონური ვერსია, რომელშიც შეტანილი იქნება ყველა ის გრაფა, რაც უნდა აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

## 4.10. ქორნინების უფლება

### 4.10.1. საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტი

ქორნინების უფლება დაცულია კონვენციის მეშვეობით, სადაც წერია, რომ მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტიან და შესაბამის ზომებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ქორნინებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს: ქორნინების ასაკში მყოფი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის უფლება ქორნინებასა და ოჯახის შექმნაზე, მეუღლეთა თავისუფალი არჩევანისა და გაცნობიერებული თანხმობის საფუძველზე.<sup>50</sup>

ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ქმედუუნარო პირისთვის ქორნინების ბლანკეტური აკრძალვის შესახებ. მან მიიჩნია, რომ ამგვარი შეზღუდვა ენინაალმდეგებოდა ადამიანის უფლებების სტანდარტებს. მართალია, რეგულირების მიზანი ქმედუუნარო პირის ქონებრივი ინტერესების დაცვაა, მაგრამ „არსებობს პირის ქონებრივი უფლებების ნაკლებად-მზღვდველი საშუალებით დაცვის ასეთი გონივრული შესაძლებლობა. მათ შორის, მეურვის ან კომპეტენტური ორგანოს თანხმობის დაწესება, ქორნინების შემოფარგველა მხოლოდ სოციალური და პირადი შედეგებით, საქორნინო კონტრაქტის სავალდებულობა და ა.შ.“<sup>51</sup>

ამასგარდა, პირს შესაძლოა მხარდაჭერას ჭირდებოდეს ქორნინების ქონებრივი კომპონენტის აღქმის მიმართულებით და საჭიროებდეს სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებებს ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა ეს ავტომატურად არ გამორიცხავს პირის გაცნობიერებულ სურვილს შექმნას ოჯახი.<sup>52</sup> ამიტომ სასამართლომ პრობლემურად მიიჩნია ის, რომ „ქმედუუნაროდ აღიარების პროცესში [არ] მოწმდება პირის სოციალური უნარები, გააცნობიეროს ქორნინების თანმდევი სოციალური, არაქონებრივი შედეგები.“<sup>53</sup> შესაბამისად, სასამართლოს სტანდარტის მიხედვით პირის

50 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახლებული გადაწყვეტილება, II.84.

52 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახლებული გადაწყვეტილება, II.91.

53 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახლებული გადაწყვეტილება, II.90.

ქმედუუნაროდ ცნობა, ან მისთვის ერთ რომელიმე სფეროში მხარდაჭერის მიმღებად ცნობა არ უნდა იწვევდეს მისი ქორწინების უფლების რაიმე გზით შეზღუდვას.

#### 4.10.2. კანონმდებლობა

სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს ბლანკეტურ ვალდებულებას, ყველა მხარდაჭერის მიმღებმა პირმა დადოს საქორწინო კონტრაქტი მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სამოქალაქო კოდექსი მხარდაჭერის მიმღებ პირებს შორის ქორწინების წინაპირობად განსაზღვრავს საქორწინო კონტრაქტს,<sup>54</sup> რომელიც მხოლოდ ქონებრივ უფლებებს შეეხება და პირადი და სოციალური ხასიათის ურთიერთობებს ვერ დაარეგულირებს.<sup>55</sup> საქორწინო კონტრაქტი იმაზე მეტად არ უნდა ზღუდვავდეს მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს სასამართლომ განსაზღვრა. საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და მხარდამჭერი, ოღონდ ეს უკანასკნელი, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ნაწილში.<sup>56</sup> თუ საქორწინო ხელშეკრულება მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის იდება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღებს მისი დადების პროცესში დროებით მხარდამჭერად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს უნიშნავს.<sup>57</sup> მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შესრულებისას, მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.<sup>58</sup>

საგულისხმოა, რომ კანონმდებლობა ყურადღებას არ აქცევს იმ ასპექტს, პირს სასამართლოს გადაწყვეტილებით აქვს თუ არა შეზღუდული ქორწინების, ან ქონების განკარგვის უფლებადანებისმიერი მხარდაჭერის მიმღები პირისთვის განსაზღვრავს ქორწინების კონტრაქტის დადების ვალდებულებას. ეს კი ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც თითოეულ შეზღუდულ უფლებას წინ უნდა უძღვიდეს პირის ინდივიდუალური შეფასება. შესაბამისად, აუცილებელია კანონმდებლობით დაზუსტდეს იმ მხარდაჭერის მიმღებ პირთა წრე, ვინც ვალდებულია დადოს საქორწინო კონტრაქტი. ეს კი ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში საერთო სასამართლომ უნდა განსაჯოს.

54 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი და 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

55 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის პირველი ნაწილი.

56 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

57 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

58 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

## 4.11. საკონსტიტუციო უფლებები

### 4.11.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიზანმიმართულებაა, და ამით ის მიესადაგება კონვენციის ფილოსოფიას, რომ ამოძირკვოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ფსიქოსოციალური საჭიროებების გამო უფლება ბლანკეტურად, ინდივიდუალური შეფასების გარეშე ერთმევა.<sup>59</sup> ეს ნიშნავს, რომ თუ სასამართლოს შესაბამისი პროცედურით პირს შეზღუდული არ აქვს კონკრეტული უფლება, ის ვერ შეეზღუდება კანონით. ეს ლოგიკა ვრცელდება ყველა, მათ შორის, ქვემოთ ჩამოთვლილ უფლებებზე.

### 4.11.2. კანონმდებლობა

კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღები პირისთვის სასამართლოს და ინდივიდუალური შეფასების გარეშე, ზოგიერთი უფლების ბლანკეტურ ჩამორთმევას. ეს უფლებებია: მშობლის და ზოგიერთი მასთან დაკავშირებული უფლება, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, უფლება ინფორმირებული და მკაფიო თანხმობის გარეშე არ გახდეს სამედიცინო კვლევის ობიექტი.

აღნიშნული ენინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტებს, ამიტომ აუცილებელია გაუქმდეს რეგულაციები, რომლებიც ბლანკეტურად ართმევს პირს: (1) მშობლის და ზოგიერთ მასთან დაკავშირებულ უფლებას, (2) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლებას, (3) უფლებას ინფორმირებული და მკაფიო თანხმობის გარეშე არ გახდეს სამედიცინო კვლევის ობიექტი.

#### 4.11.2.1. მშობლის უფლება

სამოქალაქო კოდექსის ქმედუნარიანობის ინტიტუტის რეფორმამდელი რედაქცია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს გამორიცხავდა მშვილებელი სუბიექტებიდან,<sup>60</sup> ხოლო შვილების შემდეგ მშვილებლის ქმედუნაროდ ცნობა შვილად აყვანის ბათილობის საფუძველი იყო.<sup>61</sup> ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე ქმედუნაროდ იყო ცნობილი, მისი თანხმობა შვილად აყვანის დროს მეორე მეუღლეს არ სჭირდებოდა.<sup>62</sup> კიდევ ერთი ნორმის თანახმად, მშობლის/მშობლების ქმედუნაროდ ცნობის

59 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.53.

60 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლი. 2014 წლის 11 დეკემბრის რედაქცია.

61 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. 2014 წლის 11 დეკემბრის რედაქცია.

62 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1247-ე მუხლი. 2014 წლის 11 დეკემბრის რედაქცია.

შემთხვევაში ბავშვი ავტომატურად ექვემდებარებოდა შვილად აყვანას.<sup>63</sup> ამდენად, ირლვეოდა მშობლის უფლება, რომელიც მოიცავს ბიოლოგიური მშობლის უფლებას აღზარდოს საკუთარი შვილი, პირის უფლებას აიყვანოს შვილად სხვა პირი, და ასევე უფლებას, იყოს დედობილი/მამობილი.

მოქმედი კანონმდებლობით ყველა ეს რეგულაცია გაუქმებულია და სამოქალაქო კოდექსი მშვილებლის განსაზღვრას „შვილად აყვანისა და მინდობითაღზრდისშესახებ“საქართველოს კანონს მიანდობს.<sup>64</sup> ნორმატიული აქტით ძირითადად მოგვარებულია ყველა აქამდე არსებული პრობლემა, თუმცა დედობილი/მამობილი მისი დებულებების მიხედვითაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს პირდაპირ არის განსაზღვრული.<sup>65</sup> აღნიშნული რეგულირება იმ ფონზე, როდესაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები სრულად იყვნენ გამორიცხული მშვილებელი სუბიექტებიდან, შესაძლოა წინ გადადგმული ნაბიჯი იყოს, მაგრამ ენინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოსა და კონვენციის სულისკვეთებას, რომლის მიხედვითაც არსებობს პრეზუმაცია პირის უფლებების სასარგებლოდ. შემოთავაზებულ ვერსიაში საპირისპირო ხედვაა გატარებული. ეს მაშინ, როდესაც ადამიანის უფლების სტანდარტების მიხედვით, პირს, ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ უნდა ჩამოერთვას მშვილებლის უფლება, თუ სასამართლომ შეუზღუდა. ამდენად, ირლვევა საქართველოს კონსტიტუციითა და კონვენციით დაცული მშობლის უფლება, რომელიც მათ შორის მოიაზრებს „უფლება-მოვალეობებს მეურვეობის, მზრუნველობის, შვილად აყვანისა და სხვა მსგავს ინსტიტუტებთან მიმართებაში.“<sup>66</sup>

#### **4.11.2.2. თანამდებობის დაკავების უფლება**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი გამორიცხავს მხარდაჭერის მიმღების მიერ საჯარო მოხელის თანამდებობის დაკავებას<sup>67</sup>, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.<sup>68</sup>

63 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1254-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. 2014 წლის 11 დეკემბრის რედაქცია.

64 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1245-ე მუხლი.

65 „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. მსგავს რეგულირება დადგენილი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე და 36-ე მუხლებით. პირველი მხარდაჭერის მიმღები სრულნილვანი პირის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაციას, აგრეთვე მისი გვარის შეცვლას დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუ მას საფუძვლად უდევს სასამართლოს გადაწყვეტილება. ხოლო მეორე - მამის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევას მამობის დადგენის რეგისტრაციას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლზე ხდის შესაძლებელს. ასევე, ის ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) დასახელებული ანგარიში, გვ. 28-29.

66 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

67 კანონმდებლობა ასევე გამორიცხავს მაგ., საერგებულოს წევრის, ანდა მერის და გამგებლის თანამდებობის დაკავებას (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი).

68 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

იგივე ვითარებაა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძვლების შემთხვევაშიც.<sup>69</sup> როგორც წინა, ამ შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო რეგულირებასთან გვაქვს საქმე. ადამიანის უფლებების სტანდარტის მიხედვით, პრეზუმიცია არსებობს ქმედუნარიანობის სასარგებლოდ, მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობა ბლანკეტურად ზღუდავს პირის უფლებას დაიკავოს კონკრეტულითანამდებობა, რაც წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 28-ე და 29-ე მუხლების, ასევე კონვენციის დარღვევას.

#### **4.11.2.3. სამედიცინო კვლევის ობიექტი**

საქართველოს კონსტიტუციისა<sup>70</sup> და კონვენციის<sup>71</sup> მიხედვით, დაცულია უფლება, ინფორმირებული და მკაფიოდ გამოხატული არჩევანის საფუძველზე, თავად გადაწყვიტო სამედიცინო ექსპერიმენტებში მონაწილეობა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევაში შესაძლებელია ადამიანი იყოს კვლევის ობიექტი.<sup>72</sup> ჩვეულებრივ, ამ პროცესში მონაწილეობისთვის საჭიროა პირის ინფორმირებული წერილობითი თანხმობა.<sup>73</sup> მხარდაჭერის მიმღების შემთხვევაში კი საკმარისია ორი პირობა: პირველი, პირი არ გამოხატავდეს რაიმე წინააღმდეგობას და მეორე, მან მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა.<sup>74</sup> ამგვარი რეგულირება ენინააღმდეგება უფლებას, დაცული იყო სამედიცინო მანიპულაციებისგან შენი ნების საწინააღმდეგოდ, ასევე, ის დისკრიმინაციულია, რადგან მიმართავს გაუმართლებელ განსხვავებას – ორდინაციურ შემთხვევაში პირის ინფორმირებულ თანხმობას ითხოვს, ხოლო მხარდაჭერის მიმღები პირის შემთხვევაში, წინააღმდეგობის გამოუხატველობით კმაყოფილდება. ამასთან, ნორმატიული რეალობა არ ითვალისწინებს განსხვავებას თავად მხარდაჭერის მიმღებ პირებს შორის, ერთი მხრივ, იმათ – რომლებიც სამედიცინო კვლევის ობიექტად გახდომის ნაწილში არ არიან მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი და მეორე მხრივ, იმათ, რომლებიც ამ ნაწილში მხარდაჭერას იღებენ.

69 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 107-ე მუხლი პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

70 საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-17 მუხლები.

71 გაერთიანებული ერგბის ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

72 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლი.

73 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლი.

74 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 110-ე მუხლი.

## 4.12. სასამართლო პროცესი მონაწილეობის, მხარდაჭერის გადასიცვის, გაუქმებისა და გასაჩივრების უფლება

### 4.12.1. სასამართლო სტანდარტი

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ „არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ მეურვეობის ქვეშ მყოფი პირისათვის უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება და უფლება, მოსმენილი იყოს სასამართლოს მიერ პირადად, ან საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ შერჩეული წარმომადგენლის მეშვეობით.“<sup>75</sup> ამდენად, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ფიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის, მოიცავს არა მხოლოდ იმას, რომ სასამართლო პროცედურით განისაზღვროს მათი მხარდაჭერის ფაქტი და ფარგლები, ასევე იმასაც, რომ თავად მიიღონ მონაწილეობა ამ განხილვაში. კონვენციაში კი ვკითხულობთ: „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ეფექტურ მისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის იმ პროცესუალური და ასაკთან შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რომელიც ხელს უწყობს მათ მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის როლის ეფექტურად განხორციელებას.“<sup>76</sup>

### 4.12.2. კანონმდებლობა

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილეობისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განმსაზღვრელი ნორმები ძირითადად აკმაყოფილებს ადამიანის უფლებების სტანდარტებს, არსებობს ერთი პრობლემა, რომელსაც წარმოშობს ბუნდოვანი რეგულირება. საქმე ის არის, რომ გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობისას არ არის მკაფიოდ გამოხატული ქმედუუნარო პირის შესაძლებლობა, მიმართოს სასამართლოს საკუთარი სტატუსის გადასინჯვის მოთხოვნით.

სასამართლომ, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი და ექსპერტიზის დასკვნა, შეიძლება შეცვალოს მხარდაჭერის ფარგლები.<sup>77</sup> იდენტური პროცედურებია გათვალისწინებული მხარდაჭერის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის.<sup>78</sup> იგივე გადაწყვეტილება სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვისას. მხარდაჭერის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება

75 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, II.146.

76 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

77 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>79</sup> მუხლის პირველი ნაწილი.

78 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>79</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.

გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.<sup>79</sup> ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ როგორც მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის მოთხოვნისა და გაუქმების, ისე გასაჩივრების უფლება აქვს თავად მხარდაჭერის მიმღებ პირს, რაც შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სასამართლო პროცესში სავალდებულოა მონაწილეობდნენ თავად ის პირი, ვისი საქმეც განიხილება, მისი ადვოკატი<sup>80</sup> და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი.<sup>81</sup> კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, როდესაც პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაესწროს სასამართლო სხდომას. ასეთ შემთხვევაში მისი მონაწილეობა უზრუნველყოფილია კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით.<sup>82</sup> თუ პირი არ გამოცხადდება სასამართლოზე და ვერც მისი ჩართვა ხერხდება, სასამართლო ვალდებულია განხილვა სხვა დროისთვის გადადოს. ამ შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.<sup>83</sup>

ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ ცვლილებების თანახმად, სასამართლოში ინტელექტუალური და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ინტერესებს მხარდამჭერი ავტომატურად აღარ წარმოადგენს. სასამართლო პროცესში მხარდამჭერის მონაწილეობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია სავალდებულო, თუ მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა სასამართლოს გადაწყვეტილებით საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად დაუწესდა (ცხადია, ესარვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც მხარდაჭერის მიმღები პირი მხარდაჭერის საკითხს, ან მხარდამჭერის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს<sup>84</sup>) პროცესში ასევე მონაწილეობს თავად მხარდაჭერის მიმღები.<sup>85</sup> საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მხარდაჭერის მიმღების უფლებების დასაცავად.<sup>86</sup>

საკანონმდებლო რეფორმით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდით, 2015 წლის პირველ აპრილამდე ქმედუნაროდ ცნობილ პირებს სტატუსი უნარჩუნდებათ გარკვეული ვადით. თუმცა, მათ არ ერთმევათ შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ მხარდაჭერის სისტემაზე გადასვლა, ან საერთოდაც უფლებების შეზღუდვის გაუქმება. ამ საკითხის მარეგულირებელი ნორმები განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მიხედვითაც 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს

79 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>24</sup> მუხლი.

80 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>19</sup> მუხლი.

81 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>18</sup> მუხლის პირველი ნაწილი.

82 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>18</sup> მუხლის მე-2 ნაწილი.

83 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>18</sup> მუხლის მე-3 ნაწილი.

84 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>23</sup> მუხლის მე-2 ნაწილი და 363<sup>23</sup> მუხლის პირველი ნაწილი.

85 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> ნაწილი.

86 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირს მის ინდივიდუალურ შეფასებამდე არ ეზღუდება სასამართლოსათვის მიმართვის უფლება,<sup>87</sup> რაც აშკარად პროგრესული რეგულირებაა, თუმცა იგივე კანონი შეიცავს დებულებას, რომლისგანაც საპირისპირ დასკვნა შეიძლება გამომდინარეობდეს.<sup>88</sup> სადაც ვკითხულობთ, რომ „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს მას, თუ სარჩელი შეიტანა 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილმა პირმა, რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა.“ გონივრული განმარტების პირობებში, პირველი ნორმა შეეხება ქმედუნარიანობის შეწყვეტის მოტივით, დანარჩენი კი ყველა სხვა მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას და ამდენად გონივრულ შესაბამისობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ორმაგი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია მხარდაჭერის მიმღები პირისთვის გარდამავალ პერიოდში სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განმსაზღვრელი ნორმების იმგვარად დაზუსტება, რომ მკაფიოდ იყოს გამოხატული პირის უფლება, საკუთარი სტატუსის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

87 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 451-ე მუხლის პირველი პუნქტი.

88 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 451-ე მუხლის პირველი პუნქტი.

## 5. საპროცესო ვალები

კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლოების ნაწილი არ იცავს საპროცესო ვადებს.

საპროცესო ვადების დაცვის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც სრულადაა ჩამოყალიბებული, როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა. ასეთია 28 გადაწყვეტილება, თუმცა მათგან 5 შემთხვევაში სრული სურათის მიღება შეუძლებელია.

ამრიგად, საპროცესო ვადების დაცვის შეფასება შესაძლებელია 23 სრული გადაწყვეტილების მონაცემებიდან გამომდინარე. აქედან 14 შემთხვევაში საპროცესო ვადები დაცულია სასამართლოს მიერ, 3 შემთხვევაში ვადა სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დაარღვია. რაც შეეხება დანარჩენ 9 შემთხვევას, მიუხედავად თარიღების არასრულად წარმოდგენისა, აშკარაა, რომ სასამართლომ დაარღვია საპროცესო ვადები, რადგან სამხარაულის ბიუროდან მიღებული დასკვნებიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე 2 თვეზე მეტია გასული.

ამგვარად, აუცილებელია სასამართლოებმა უზრუნველყონ საპროცესო ვადების დაცვა.

## რეკომენდაციები

### საქართველოს პარლამენტს:

- ადამიანის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობის გადაწყვეტილებაზე არ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების სრულად (სამოტივაციო ნაწილის ჩათვლით) გამოქვეყნებას
- აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და გაუქმდეს მხარდაჭერის მიმღები პირისთვის წვრილმანი გარიგებების დადების უფლების შეზღუდვა. უნდა გაუქმდეს საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ითვალისწინებს მხარდამჭერის მიმღები პირის უფლების - იყოს სხვა პირის მხარდამჭერი იმ სფეროში, რომელშიც თავად არ აქვს მხარდაჭერა დანიშნული, - ბლანკეტურ შეზღუდვას

- აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიანიჭოს მხარდამჭერს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებაზე თვალყურის დევნების უფლება, თუ იგი შესაბამის სფეროში მხარდამჭერად დანიშნული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაზუსტდეს მხარდამჭერის ვალდებულება – მხოლოდ იმ სფეროში დაადგინოს მხარდაჭერის მიმღების სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელშიც მხარდამჭერად არის დანიშნული
- აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომელიც მხარდაჭერის მიმღებ პირს მისცემს უფლებას გაასაჩივროს მხარდამჭერის ცალკეული გადაწყვეტილებები სასამართლოში
- კანონმდებლობამ უნდა გასაზღვროს იმ უფლებების/უფლების ასპექტების ჩამონათვალი, რომელთა შეზღუდვა და მის განხორციელებაში მხარდამჭერის დანიშვნა დაუშვებელია
- აუცილებელია კანონმდებლობით დაზუსტდეს მხარდაჭერის მიმღებ იმ პირთა წრე, ვინც ვალდებულია დადოს საქორწინო კონტრაქტი. ეს კი ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში საერთო სასამართლოს განსასჯელია
- აუცილებელია გაუქმდეს რეგულაციები, რომლებიც ბლანკეტურად ართმევს პირს მშობლის და ზოგიერთ მასთან დაკავშირებულ უფლებას, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლებას, უფლებას ინფორმირებული და მკაფიო თანხმობის გარეშე არ გახდეს სამედიცინო კვლევის ობიექტი
- ორმაგი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია მხარდაჭერის მიმღები პირისთვის გარდამავალ პერიოდში სასამართლოსთვის მიმართვის უფლების განმსაზღვრელი ნორმების იმგვარად დაზუსტება, რომ მკაფიო იყოს პირის უფლება, საკუთარი სტატუსის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

### **საქართველოს საერთო სასამართლოებს:**

- აუცილებელია სასამართლომ მეტი ყურადღება დაუთმოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის პრობლემას
- პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილების დასაბუთებულობის გაზრდის მიზნით უნდა შემუშავდეს მოსამართლეთა გადამზადების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მათი ინფორმირებულობის ამაღლებას „შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის პრინციპების თაობაზე და ხელს შეუწყობს შშმ პირთა მიმართ სტიგმის შემცველი დამოკიდებულების შეცვლას

- სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მხარდაჭერა უნდა დანიშნოს მხოლოდ იმ უფლებების, ანდა მისი იმ ასპექტების რეალიზაციისთვის, რომელიც პირის ინტერესებიდან გამომდინარეობს
- სასამართლომ უარი უნდა თქვას ნების სრულ ჩანაცვლებაზე და ამის სანაცვლოდ მხარდამჭერის, როგორც დამხმარის როლზე უნდა გააკეთოს აქცენტი
- სასამართლომ მხოლოდ ისეთი უფლებებში, ანდა მის ასპექტებში უნდა დანიშნოს მხარდაჭერა, რომელიც პირის უშუალო აქტივობას არ მოითხოვს კანონმდებლობით იმ უფლებების/უფლების ასპექტების ჩამონათვალის განსაზღვრამდე, რომლის შეზღუდვა და მის განხორციელებაში მხარდამჭერის დანიშვნა დაუშვებელია. სასამართლომ თავი უნდა შეიკავოს ამგვარი უფლებების შეზღუდვისა და მათ განხორციელებაში მხარდამჭერის დანიშვნისაგან.
- აუცილებელია, შეიქმნას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შპაბლონური ვერსია, რომელშიც შეტანილი იქნება ყველა ის გრაფა, რაც უნდა აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში
- აუცილებელია სასამართლოებმა უზრუნველყონ საპროცესო ვადების დაცვა.

### **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:**

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის №01-16/ნბრძანებაშითვისიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების დამტკიცების თაობაზე, უნდა შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, პირი, რომლის ფსიქოსოციალური საჭიროების ექსპერტიზაც ტარდება, აღარ იქნება მოხსენიებული, როგორც „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“.

